საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.10.18

საჩივრის რეგისტრაციის №145/18

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ვ. თ.-ის მიმართ /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. თ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 18 ოქტომბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ქ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ვ. თ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს ეთიკის კომისიის მიერ დაკისრებული აქვს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, რომელიც მისი შეფასებით, არ არის ადვოკატის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის პროპორციული.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მართალია ეთიკის კომისიამ უკვე განიხილა მისი საჩივარი ადვოკატ ვ. თ.-ის მიმართ, მაგრამ მას აქვს ახლად აღმოჩენილი გარემოებები, რომელთა საფუძველზეც თავიდან სურს, რომ მოხდეს მისი საჩივრის განხილვა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიაჩნია, რომ როდესაც ურთიერთობა დაეძაბა ადვოკატთან, ადვოკატმა დაიბარა შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდა

ადვოკატის ციხიდან ახლად გამოსული შვილი. ადვოკატმა დაუწყო იმაზე საუბარი, თუ რას წარმოადგენს მისი შვილი. ამით ადვოკატის მიზანი იყო, რომ გ. ქ. დაეშინებინა, რომ მასთან აღარ მისულიყო.

1.5 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი ცდილობდა მისი სიტუაცია თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ერთხელ ოფისში დაახვედრა ერთ-ერთი ცნობილი ადვოკატის ვაჟი, რომელმაც დაუწყო საუბარი იმაზე, თუ რა კარგი იქნებოდა ბინის გადასარჩენად ვინმეზე გადაეფორმებინა ბინა ან ახალი სესხის ხელშეკრულება დაედო. თუმცა მომჩივანი განმარტას, რომ ამ შემოთავაზებას არ დათანხმდა, რადგან ადამიანების ნდობა აღარ ქონდა.

1.6 კომისიის ბოლო სხდომაზე ადვოკატმა ვ. თ.-მ განმარტა, რომ თითქოს გ. ქ.-ს აქვს ფსიქიკური პრობლემები, როცა მანამდე ექსპერტიზა არ ჩაატარებინა საკუთარი თავისათვის, ეუბნებოდა გიჟი არ ხარო.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, სხდომაზე ადვოკატმა შეკითხვაზე - თუ რა ხდებოდა პროკურატურასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ,,პროკურატურამ აღიარა, რომ გ.-მ აიღო იპოთეკური სესხის ფული". მაშინ, როდესაც რეალურად მას ის ფული არც კი უნახავს.

1.8 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატს არ ეკუთვნის მის მიერ გადაცემული საადვოკატო მომსახურების თანხა.

1.9 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატ ვ. თ.-ს უნდა შეუწყდეს საადვოკატო უფლებამოსილება, რადგან მის მიმართ ჩადენილი აქვს მძიმე ეთიკური გადაცდომა.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

2.1 ადვოკატი ვ. თ.-ე არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული. ასევე, ის არ არის გარიცხული სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

2.2 გ. ქ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 18 ოქტომბერს.

2.3 სადავო ქმედება ხორციელდებოდა 2016-2018 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

3. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ვ. თ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმისწარმოება, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატს არ ეკუთვნის მის მიერ გადაცემული საადვოკატო მომსახურების თანხა; ადვოკატმა უკან გამოატანინა სახელმწიფო ბაჟის თანხა 5000 ლარი და ამ მოქმედებით კანონიერ ძალაში შევიდა ჩუქების გაუქმების გადაწყვეტილება; ადვოკატი დაპირდა ახლად აღმოჩენილი გარემოებებით საქმის მოგებას.

4.2 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ 2018 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე N085/17 ეთიკის კომისიამ უკვე შეაფასა გ. ქ.-ის პრეტენზიები ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური იურიდიული რჩევის მიცემისა და საადვოკატო მომსახურების თანხის დაბრუნების ნაწილში და ადვოკატს დააკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

4.3 კოლეგია განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე საკითხზე".

4.4 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ გ. ქ.-ის ზემოთ მითითებული პრეტენზიები უკვე აქვს შეფასებული ეთიკის კომისიას 2018 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებაში ადვოკატ ვ. თ.-ის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე. შესაბამისად, ამ პრეტენზიათა ფარგლებში არსებობს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის და დებულების თანახმად, იგივე საკითხების თავიდან განხილვა, დაუშვებელია.

4.5 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, საჩივრის ავტორს ზემოთ აღნიშნულ პრეტენზიათა გარდა, ადვოკატის მიმართ აქვს პრეტენზიები, რომლებიც წინა დისციპლინური საქმის განხილვის პროცესში არ გაუჟღერებია. ეს პრეტენზიებია: ადვოკატმა ვ. თ.-მ მათ შეხვედრას, გ. ქ.-ის შეშინების მიზნით, დაასწრო თავისი შვილი, რომელიც ციხიდან იყო ახალი გამოსული; ადვოკატი სთავაზობდა ბინის სხვა პირის სახელზე გადაფორმებას; ადვოკატმა წინა დისციპლინური საქმის განხილვის პროცესში ეთიკის კომისიის სხდომაზე ისე ისაუბრა, თითქოს გ. ქ.-ს აქვს ფსიქიკური პრობლემები, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ადვოკატისათვის კომისიის მიერ დაკისრებული სახდელი არაა საკმარისი.

4.6 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ,,ადვოკატთა დიციპლინური პასუხიმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულება არ ითვალისწინებს იგივე ადვოკატის მიმართ იგივე საქმეზე სხვა პრეტენზიებით საჩივრით მომართვის აკრძალვას, როცა ამავე მხარის ამავე ადვოკატის მიმართ კონკრეტული საკითხები უკვე აქვს კომისიას შეფასებული, მაგრამ კოლეგიის შეფასებით, ეთიკის კომისიის რესურსის არაგონივრულ ხარჯვას წარმოადგენს ადვოკატის მიმართ საჩივრის განხილვის შემდეგ ისეთი პრეტენზიებით განმეორებითი საჩივრით მომართვა, რაც უკავშირდება ეთიკის კომისიის მიერ შეფასებულ ფაქტობრივ გარემოებებს ან/და ახალი საჩივრით ისეთ გარემოებებზე დავა, რაც საჩივრის ავტორისთვის ცნობილი იყო საჩივრის პირველად შემოტანისას. საჩივარი უნდა იყოს მომზადებული, დასაბუთებული და საჩივრის შემოტანამდე მხარე უნდა ჩამოყალიბდეს რა გარემოებების გამოკვლევა სურს ეთიკის კომისიაში. კომისიისათვის საჩივარში არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან საჩივრის განმეორებითი შემოტანა იმ საფუძვლით, რომ კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის დისციპლინირების შესახებ მხარეს მსუბუქად მიაჩნია და სურს კომისიამ ხელახლა შეაფასოს ის გარემოებები, რასაც ერთხელ უკვე დაეყრდნო კომისია გადაწყვეტილების მიღებისას, გაუმართლებელია.

4.7 კომისიის შეფასებით, გარემოებები, რომელზეც აქვს პრეტენზია საჩივრის ავტორს, მისთვის ცნობილი იყო ეთიკის კომისიაში თავდაპირველი საჩივრის შემოტანის დროსაც, 2017 წლის 26 ოქტომბერს. შესაბამისად, ასეთი სახის პრეტენზიებს კომისია ვერ გაიზიარებს ახლად

აღმოჩენილ გარემოებად და ეს პრეტენზიები ვერ გახდება ადვოკატ ვ. თ.-ის მიმართ ახალი დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი.

4.8 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ მე-9 მუხლის ,,ვ“ ქვეპუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №145/18 ადვოკატ ვ. თ.-ის მიმართ /სიითი №..../ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/